ინფორმაცია შენიშვნების/რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე

| გამოთქმული შენიშვნები | |
|---|---|
| დიპლომატიური კორპუსის თანამშრომლების დაზღვევა და დამატებითი მექანიზმების შექმნა, საზღვარგარეთ საელჩოების შეძენის საკითხები | დაზღვევასთან და სხვა გარანტიებთან დაკავშირებული მექანიზმები შემუშავებულია, შესაბამისი რეგულაციები განსაზღვრულია, თანხები გათვალისწინებულია ბიუჯეტში, საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის განსაზღვრული ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს თანხებს საელჩოების მშენებლობისათვის |
| საშემოსავლო გადასახადების რა ნაწილი უნდა დარჩეს ადგილობრივ ბიუჯეტებში, როდის არის ეს განსაზღვრული და რა პრინციპით მოხდება პროცენტის დაანგარიშება | საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებული კანონპროექტი ითვალისწინებს საშემოსავლო გადასახადის ზოგიერთი სახის მიმართვას ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის, თავდაპირველად აღნიშნული ნორმის ამოქმედებისათვის შემოთავაზებული იყო 2018 წელი, თუმცა მიმდინარეობს კონსულტაციები და ამოქმედების ვადად განისაზღვრება 2016 წელი |
| რიცხოვნობის ცვლილება პირველ პროექტთან მიმართებაში | საჯარო სამართლის იურიდიული პირების ნაწილი ბიუჯეტიდან მიმდინარე ხარჯებისთვის გამოყოფილ თანხას ხარჯავდნენ „სუბსიდიები“-ს მუხლით და არ იყო დეტალურად გაშიფრული თუ რამდენი იხარჯებოდა მათ შრომის ანაზღაურებაზე და სხვა მიმდინარე ხარჯებზე, რის საშუალებასაც იძლეოდა მოქმედი კანონმდებლობა. შესაბამისად მოხდა რიგი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტების გადანაწილება ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით და „სუბსიდიების“ მუხლიდან გამოიყო მათ შორის „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნება ცალკე. მაგალითად კულტურის სამინისტროს სსიპ-ების შემთხვევაში შრომის ანაზღაურების მუხლი გაზრდილია 48,8 მლნ ლარით, რაც თანხაც გათვალისწინებული იყო ჯამურად „სუბსიდიების“ მუხლში და შესაბამისად ეს თანხით არ შემცირებულა სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა პროგრამების ასიგნება. |
| მთავრობის ადმინისტრაციის დაფინანსება | 2014 წელთან შედარებით დაფინანსება იზრდება 12,5 მლნ ლარით, საშტატო რიცხოვნობა იზრდება 152 ერთეულით. აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მთავრობის ადმინისტრაციის ფარგლებში ქვეპროგრამებად გათვალისწინებულია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთოხებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის (81 ერთეული), საქართველოს ეკონომიკური საბჭოს აპარატის (28 ერთეული) და საგადასახადო ომბუდსმენის აპარატის (12 ერთეული) ფუნქციონირებისათვის საჭირო |

| | |
|---|---|
| | რიცხოვნობა და ასიგნება, გარდა ამისა, ადმინისტრაციაში 2014 წელთან შედარებით რიცხოვნობა იზრდება 31 ერთეულით, რაც გამოწვეულია ახალი დეპარტამენტის შექმნით |
| სოციალური დახმარების მეთოდოლოგიის გადახედვა | შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მუშაობს სოციალური დახმარებების მეთოლოგიაზე, რაც გულისხმობს ქულათა მინიჭების ახალი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც შესაძლებელს გახდის მეტ რანგირებას და მეტი საჭირობების მქონე პირებისათვის მეტი სარგებლის შეთავაზებას |
| 2015 წლის პროექტში ჯამში რა თანხაა გამოყოფილი გაზიფიცირებისთვის, მათ შორის კონკრეტულად ზესტაფონის გაზიფიცირებისთვის | დაახლოებით 27 მლნ ლარი გამოყოფილია მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგებისათვის |
| 2013 წელს მოხდა ციტრუსის სუბსიდირება, 2014 წელს იმ ფორმით უკვე აღარ ხდება სუბსიდირება და სამომავლოდ არის თუ არა დაგეგმილი ციტრუსის სუბსიდირება | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახორციელებს მანდარინის სუბსიდირების პროექტს |
| რა პროექტების განხორციელება იგეგმება 2015 წელს მუნიციპალიტეტებში არსებულ ნაგავსაყრელების მოწესრიგებასთან დაკავშირებით (ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მუნიციპალიტეტებში არსებულ ნაგავსაყრელებთან დაკავშირებით აღებული აქვს ვალდებულებები). | მთავრობა მუშაობს მყარი ნარჩენების მართვის კანონპროექტზე, მნიშნველოვანი ღონისძიებებია დაგეგმილი, დონორების დამხარებით ხორციელდება პროექტები |
| რა თანხაა გამოყოფილი მასწავლებელთა ხელფასების ზრდისათვის;<br>პედაგოგების საბაზო ხელფასების მატების ვადის გადმოწევა, სქემის სხვა ნაწილის ამოქმედების გადაანგარიშების ან ახალი რესურსის მოძიების ხარჯზე | განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის დამატებით გამოიყო 25 ლარი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება მასწავლებლების ხელფასის ზრდა 2015 წლის 1 სექტემბრიდან.<br><br>ამასთან, მასწავლებელთა ხელფასების მატება დაგეგმილია 2016 წელსაც. |
| ორი წლის განმავლობაში უბრალოდ გაქრა უნივერსიტეტებიდან დაახლოებით 19 მლნ ლარი და არც წელს არის უნივერსიტეტების დაფინასებაში არაფერი, საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანხები მთლიანად გადადის ხაზინაში, ამასთან დაკავშირებით აპირებთ თუ არა საკანონმდებლო ცვლილებას და დაახლოებით რა თანხას მიიღებს აქედან სახელმწიფო და რამდენ თანხას დაკარგავენ უმაღლესი სასწავლებლები | სახელმწიფო ხაზინა მოემსახურება სსიპებს და ააიპებს და მათ ანგარიშებს და რეფორმა არ გულისხმობს რომელიმე ორგანიზაციის სახსრების მიმართვას სახელმწიფო ბიუჯეტში. ყველა ორგანიზაციას თავის განკარგვაში რჩება ყველა ის სახსრები რისი განკარგვის უფლებაც ამ ორგანიზაციებს მინიჭებული აქვთ კანონით |
| კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამაში გაწერილია 3 450.0 ათასი ლარი და ღონისძიებების ჩამონათვალი საკმაოდ მრავალრიცხოვანია - კომპლექსთა კონსერვაცია, რეაბილიტაცია, სამონასტრო კომპლექსების, ეკლესიების, ტაძრების, მცხეთის მუზეუმის რეაბილიტაცია. როგორ გადანაწილდება და რა თანხა იქნება განკუთვნილი მცხეთის მუზეუმის რეაბილიტაციისთვის, რამდენადაც დროში ამისი გაწელვა გამოიწვევს ექსპონატების შეიძლება სრულ განადგურებას. | მცხეთის მუზეუმის რეაბილიტაცია გათვალისწინებულია 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში |
| შეღავათიანი აგროკრედიტებისა და აწარმოე საქართველოში პროგრამის ფარგლებში რა მოცულობის ინვესტიციაა მოსალოდნელი, | ორივე პროგრამა 2015 წელსაც გაგრძელდბა. მეწარმეობის განვითარებისთვის 20 მლნ ლარზე მეტი, ხოლო აგროკრედიტისათვის 50 მლნ ლარამდეა გათვალისწინებული |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის, გასულ, მიმდინარე წელს არის გამოყოფილი 50 მილიონი, მომავალი წლის ბიუჯეტში არის 0 თეთრი გამოყოფილი | 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში წარმოდგენილი რეგულაციების თანახმად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში გათვალისწინებული 300.0 მლნ ლარიდან 50 მლნ ლარი გამოყენებული იქნება |

| | |
|---|---|
| | ისევ სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის და ამ რესურსით შესაძლებელია იქნება განხორციელდეს პროექტები როგორც კონკრეტული სოფლის მასშტაბით, ასევე ერთი მუნიციპალიტეტის ფარგლებში რამდენიმე სოფლის საჭიროებებიდან გამომდინარე. |
| ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ბიუჯეტი გაიზარდა და გახდა 70 მლნ ლარი, ამ თანხაში თუ შედის სოციალური დახმარებები, ან რას მოხმარდება ეს მატება. | განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვისა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის გათვალისწინებული ასიგნება 2014 წელთან შედარებით იზრდება 20 მლნ ლარით და 2015 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 61.1 მლნ ლარი, რაც მოხმარდება ძირითადად იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ფართის შეძენა (მშენებლობა რეაბილიტაცია) და კერძო საკუთრებაში გადაცემას. |
| სარეზერვო ან სხვა ფონდიდან თუ იგეგმება ეკოემიგრანტებისთვის საცხოვრებელი ფართებისა და მიწის მიმაგრება | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო მუშაობს ამ მიმართულებით მისთვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში |
| რა მოცულობით იგეგმება 2015 წელს გზების მშენებლობის დაფინანსება და შედის თუ არა ამ გეგმაში საჩხერე -ჩქმერი-ონის საავტომობილო გზის მშენებლობა.<br>არის თუ გათვალისწინებული ხულო-გოდერძის გზის აღდგენითი გზის მშენებლობა<br>მომავალი წლის ბიუჯეტში ახმეტა-თიანეთის დამაკავშირებელი გზის პროექტირების ხარჯების გათვალისწინება. | საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის გათვალისწინებულია 645.2 მლნ ლარი;<br>აქტიურად მიმდინარეობს კომუნიკაცია დონორებთან საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით |
| წამლების დაფინანსების შესაძლებლობა სოციალურ პაკეტში | მიმდინარეობს მუშაობა, რათა გარკვეული კატეგორიის ბენეფიციარებისათვის ჯანდაცვის პროგრამამ მოიცვას წამლების ანაზღაურებაც |
| გენდერული ბიუჯეტირება | ამ მიმართულებით ძლიერდება თანამშრომლობა გენდერულ საბჭოსა და დაიტერესებულ პირებთან, მახვილდება ყურადღება გენდერული ასპექტების გათვალისწინებაზე ბიუჯეტის დაგეგმვისას |
| მზარდი ვალი და მისი მოცულობა | ვალდებულების ზრდის ხარჯზე ძირითადად ხდება საინვესტიციო კრედიტების მოზიდვა, რაც მიიმართება მნიშნველოვანი ინფრასტრუქტული პროექტებისათვის და არა მიმდინარე ხარჯებზე. სახელმწიფო ვალის მოცულობა მშპ-თან მიმართებაში სრულად შეესაბამება საერთაშორისო მიღებულ სტანდარტს ვალის მდგრადობის თვალსაზრისით |